პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 3 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 514 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## რუსეთის კომპარტია ძლიერია როგორც არასოდეს.

შაბათს, 31 მაისს, დასრულდა რუსეთის კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობა.

ეს ყრილობა კომუნისტური პარტიის ისტორიაში დაიკავებს განსაკუთრებულ საპატიო ადგილს.

ის ჩატარდა მთელი პარტიის უმაგალითო ერთსულოვნობის, რიგების მეტ დროების და სრული თანხმობის ნიშნის ქვეშ.

ჩვენი მტრები დიდის გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ გასული წლის შემოდგომის დისკუსიას პარტიაში და უწინასწარმეტყველებდნენ მას გახრწნას და დაშლას.

მაგრამ ისინი მოსტყუვდენ სასტიკად.

მეცამეტე ყრილობამ უმოწყალოდ გაუცრუვა იმედები საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მტრებს. მან დაუმტკიცა არა მარტო მათ, არამედ მთელ მშრომელთა ქვეყანას, რომ რუსეთის კომპარტია დისკუსიით და ბელადის დაკარგვით არამც თუ დასუსტდა, არამედ მისი ძალები, ენერგია და ერთსულოვნობა ერთი ასად გაიზარდა.

მეცამეტე ყრილობამ ნათლად დაგვანახა არა მარტო მთლიანობა და სიმტკიცე კომუნისტური რიგებისა, არამედ ის გარემოება, რომ პარტია გაიზარდა რაოდენობითაც და ხარისხოვნობით. პარტია გაიზარდა, გაძლიერდა მისი ავტორიტეტი და ზეგავლენა საშუდამოთ განმტკიცდა მშრომელთა ფართო მასსებში—აი რას გვეუბნება ჩვენ მეცამეტე ყრილობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობის სათავეში აღარ სჩანდა ძვირფასი ბელადის საყვარელი ფიგურა, ის ჩატარდა ლენინიზმის დროშის ქვეშ.

პარტია დარჩა ერთგული თავისი ბელადის ანდერძებისადმი.

„ჩვენ კიდევ ერთხელ გავაქარწყლეთ ჩვენი მტრების მოლოდინი და დავამტკიცეთ, რომ ლენინს ტყვილად არ უმუშავნია ჩვენს შორის"—ასე დაათავა ამხ. ზინოვიევმა თავის სიტყვა.

რუსეთის კომუნისტური პარტია ძლიერია, როგორც არასოდეს—აი რა სთქვა მე-13 ყრილობამ.

გაუმარჯოს მის მთლიანობას!

## ჩინეთსა და საბჭოთა კავშირის შორის ხელშეკრულება დაიდო.

დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ ერთ მეტად საყურადღებო ცნობას: ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. სულ რამოდენიმე კვირის უკან ჩაიშალა მოლაპარაკება ჩინეთსა და ჩვენ შორის. მაშინ გაერთიანებულმა საერთაშორისო იმპერიალიზმმა პუანკარეს მეთაურობით ჩაშალა მოლაპარაკება. იაპონია—საფრანგეთ—ამერიკის იმპერიალისტები მტრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, მოითხოვდენ ჩინეთიდან, რომ მას არ გაებედა არავითარ ხელშეკრულების დადება საბჭოთა მთავრობასთან.

საბჭოთა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა და მოითხოვდა ჩინეთის მთავრობისაგან დაუყონებლივ გაეცა სათანადო პასუხი. მაგრამ ჩინეთს ეშინოდა იმპერიალისტებისა და ის იძულებული იყო დამორჩილებოდა მათ მოთხოვნას.

დღეს კი შეთანხმებას ხელი მოაწერეს. მიუხედავათ იმპერიალისტების მუქარისა, ჩინეთმა დასდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან. ჩინეთის ხალხი, რომელიც მრავალ წლების განმავლობაში იბრძ. და უცხოელ მოძალადეების ჩაგვრის წინააღმდეგ, დღეს ხედავს საბჭოთა კავშირში ერთად-ერთ ძალას, რომელიც ამ ბრძოლაში დაეხმარება მას, რომელიც დაიცავს მის ნაციონალურ ინტერესებს. ჩინეთმა უკანასკნელად იცნო საბჭოთა კავშირი მეგობრად და შეუთანხმდა მას. იმპერიალისტების მუქარამ არ გასჭრა. საბჭოთა კავშირის წინაშე იმპერიალისტები უძლურნი აღმოჩნდენ.

ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმებას, როგორც ამას ამხ. კარახანი აცხადებს, კიდევ მოელის თავდასხმა იმპერიალისტების მხრივ. ხელშეკრულების გატარებას ყოველგვარ წინააღმდეგობას გაუწევენ ევროპა-ამერიკის იმპერიალისტები. მაგრამ ხელშეკრულება უკვე დადებულია. ის ცხოვრებაშიაც გატარდება.

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირის შორის დადებულ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალისათვის.

ჩინეთი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოა; ის დაუძლურებულია შინაურ და გარეშე ფრონტებზე ბრძოლით, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირის დახმარებით ის შესძლებს უცხო ძალის კანდევნას და ამით ხელს შეუწყობს აზიის მშვიდობიან და უმტკივნეულო განვითარებას.

ჩინეთის ასეთი ნაბიჯი ახალი ხანის დასაწყისია აზიის დაჩაგრულ ხალხთა ცხოვრებაში. ჩინეთი დაჩაგრულ ერებს მაგალითს მისცემს თუ როგორ და ვისთან ერთად უნდა ბრძოლა მოძალადე იმპერიალისტების წინააღმდეგ.

## ჩინეთმა ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებაზე.

### შეთანხმება მიღწეულია.

დღეს დილის 11 საათზე ხელ მოწერილია შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის განახლებაზე და სამხრეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობის შესახებ.

ჩინეთის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ველინგტონ-კუმ, ხოლო საბჭოთა კავშირის მხრიდან კარახანმა.

ხელის მოწერას წინ მიუძღოდა თათბირი რამოდენიმე დღეების განმავლობაში.

გადაწყვეტილება შეთანხმებაზე ინახებოდა საიდუმლოებაში. ხელის მოწერისათვის მზადება სწარმოებდა ველინგტონ-კუს კერძო ბინაზე. საიდუმლოებას იცავდენ, რათა შეძლება არ მიეცათ საფრანგეთისათვის ჩარევისა და შეთანხმების დარღვევის, რისთვისაც ორივე მხარე შეთანხმდენ საიდუმლოების გამომჟღავნებაზე მხოლოდ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ.

### იმპერიალისტები უძლურია საბჭოთა კავშირის ძლიერების წინაშე.

„როსტას" თანამშრომელთან საუბარში ამხ. კარახანმა აღნიშნა, რომ ჩინეთში ჩვენ წინააღმდეგ დაირაზმა მთლიანი იმპერიალისტური ფრონტი თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის სახით. შეთანხმების დარღვევის ცდებმა კიდევ ერთხელ გამოაშკარავეს იმპერიალისტების უძლურება საბჭოთა კავშირის ძლიერების წინაშე. ამ უკანასკნელ ხანებში დიპლომატიური კორპუსის გავლენა ჩინეთზე დაეცა. იმპერიალისტური დიპლომატები სრულიად არ მოელოდენ საბჭოთა მოლაპარაკებას ჩინეთთან, იაპონიასთან მოლაპარაკების გათავებამდე, რომლის ფარდის ქვეშ ჩინეთი აკეთებდა თავის საქმეს.

წინ გვიძევს ბრძოლა შეთანხმების გასატარებლად, რადგან დამრღვევის მსურველნი შეეცდებიან ყოველმხრივ შეგვიშალონ ხელი. თუმცა ჩინეთი სუსტია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ის შესძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტების ცდას სხვის საქმეში ჩარევისა.

## იაპონიაც იჩქარის შეთანხმებას მიაღწიოს საბჭოთა კავშირთან.

იაპონიის გაზეთები აღნიშნავენ იპონიის მისწრაფებას მიაღწიონ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან კიურას კაბინეთის გადადგომამდე. ზემო პალატაში, თავის მოხსენებაში გოტიემ მიუთითა საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობის აუცილებლობაზე.

### სამხედრო წრეები მომხრე არიან სახალინის ევაკუაციის.

იაპონიის ღენერალურ შტაბის უფროსის თანაშემწემ ტაკეუჩიმ განაცხადა, რომ სამხედრო ძალები მომხრე არიან სახალინის ევაკუაციისა. მაგრამ, თუ მოლაპარაკებამ გასტანა ორი თვეზე მეტი, მაშინ კლიმატიური პირობების გამო სახალინის ჯარებს არ ექნებათ ევაკუაციის საშვალება.

## საფრანგეთი.

### პუანკარეს გადადგომა.

1 ივნისს პუანკარემ გადასცა პრეზიდენტ მილიერანს თავისი და მთელი კაბინეტის გადადგომის ქაღალდი.

## ერიოს პროგრამა.

„მატენის" ცნობით ერიომ შეიტანა თავის პროგრამაში საყოველთაო ამნისტია. ფრანკის კურსის გამტკიცება, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა რესპუბლიკებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადება, ექსპერტთა მოხსენების ცხოვრებაში გატარების მიზნით.

## გერმანია

### მთავრობის კრიზისი.

მთავრობის კრიზისი აქამდე არ ამოწურულა. გერმანიის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა—შორნიმ წინადადებით მიმართა ებერტს, რათა მან კაბინეტის შედგენა მიანდოს გერგტს.

## რადიო ყოველ მხრიდან

### ინგლისელი მეცნიერი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კულტურულ მიღწევების შესახებ.

ლენინგრადში ამ ჟამად მყოფი ინგლისელი მეცნიერი და პარლამენტის წევრი, ინგლისის მუშათა პარტიის წევრი ველიამ კონვეი, გაეცნო რა სსრკ ს კავშირისაგან გაწეულ მუშაობას სიძველეთა კულტურულ ღირებულების ძეგლების დაცვის საქმეში, აღნიშნა, უდიდესი მუშაობის წარმოება ამ მიმართულებით და გამოსთქვა სურვილი გამოსცეს წიგნი ს. ს. რ. კ. უდიდეს კულტურულ მიღწევების შესახებ.

### შევჩენკოს ხსოვნისათვის.

შევჩენკოს (უკრაინელი პოეტია) საუკუნო ხსოვნის აღსანიშნავად გამოყოფილმა კომისიამ დაიწყო შემოწერულებათა შეგროვება კიევში და თვით პოეტის საფლავზე კანევეში ძეგლების ასაგებათ.

### თავს თვითონვე იმათრახებენ.

კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სინოდმა, მსოფლიო პატრიარქ გრიგორის თავმჯდომარეობით გამოიტანა დადგენილება გადააყენოს ეკლესიის მეთაურობიდან პატრიარქი ტიხონი, რომელიც დამნაშავეა საეკლესიო არეულობაშიო. იცნეს რა რუსეთის სინოდი ეკლესიის მეთაურათ პატრიარქმა აუკრძალა ღვთის მსახურება ანტონის მეთაურობით რუსეთიდან გამოქცეულ იერარხებს, რომლებიც გადაეცენ საეკლესიო სასამართლოს.

# ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔ-13-ᲢᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

(ამხ. ბუხარინის მოხსენების გაგრძელება).

**ჩვენი საქმე არ დამარცხდება.**

როდესაც უცქერი ჩვენი ახალგაზრდობის ორგანიზაციის მუშაობას და ხედავ მომავალ მოზარდ თაობას, რომელმაც უნდა შეგვცვალოს ჩვენ,—შეიძლება სთქვა სრულიად დამშვიდებული სინდისით:

„ჩვენი საქმე არ დამარცხდა. თუ ჩვენი მეურნეობა დღეს კოჭლობს; სამაგიეროდ ჩვენ გვეზრდება ახალი თაობა, ხალისდება მთელი ხალხი და ახალ საფუძვლებზე იზრდებიან ათასობით და მილიონობით ჩვენი შემცვლელი ახალგაზრდობა.

ამაშია ჩვენი ძირითადი გარანტია, რომ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს ვერ დაამარცხებს ვერც სავაჭრო, ვერც ჩარჩის და ვერც უცხოეთის კაპიტალი.

## ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ამხ. ბუხარინი ეხება კომკავშირის ორგანიზაციული ხასიათის საკითხებს და აღნიშნავს, რომ კომკავშირში არსებულ სხვა და სხვაობა მასასა და აპარატს შორის დაიჩნდა მის ორგანიზაციასაც.

ეს საკითხი უნდა გადაიჭრას იმ ხაზით, როგორც ჩვენს პარტიაში, არამედ ზოგიერთი არსებითი ცვლილებებით, ვინაიდან ჩვენი დისციპლინის სიმკაცრის მექანიკურად გადატანა კომკავშირში მოუფიქრებლობა იქნებოდა ზოგიერთ შედეგებთან დაკავშირებით.

**31 მაისის დილის სხდომა.**

## ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში ამხ. კუგანოვიჩმა განაცხადა, რომ სამანდატო კომისიამ დაამტკიცა 748 მანდატი გადამწყვეტი ხმით, 416—სათათბირო ხმით, დელეგატების 66 პროც. დაბალი განათლებითაა, ე. ი. 17 პროცენტით მეტი, ვინემ წინა ყრილობაზე იყო. ეს აიხსნება იმით, რომ ყრილობას დაესწრო დაბალ პარტიულ მომუშავეთა დიდი რაოდენობა. ქალების რიცხვი ყრილობაზე უდრის 7 პროცენტს. წინა ყრილობაზე იყო 1 პროც. უკანასკნელ ყრილობაზე ითვლება ჭერ-ქვეშ მომუშავენი—48 პროც. წინააღმდეგ გასული ყრილობის 59 პროცენტისა, სხვა პარტიიდან გამოსულები 11 პროც. წინააღმდეგ 14-სა, მუშები—66 პროც. წინააღმდეგ 2 პროცენტისა გასულ ყრილობაზე.

ამხ. პეტროვსკის წინადადებით, ყრილობამ გადასცა ახალ საკონტროლო კომისიას ყოველივე განცხადებების გარჩევა, პარტიიდან გამორიცხულ წევრების უკან მიღების შესახებ.

## ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

მარქსისა და ენგელსის სახელობის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. რიაზანოვი აღნიშნავს, რომ მარქსის ნეშთის გადმოტანაზე უფრო საყურადღებო და ნაყოფიერი იქნება პროლეტარიატისა და რევოლიუციისათვის, რომ გამოვსცემდეთ მის დაუბეჭდელ ხელთნაწერებსო. ამხ. რიაზანოვი აღნიშნავს აგრეთვე, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს მოეპოებათ მარქსის მრავალი ხელთნაწერები, რომელშიდაც ბათილდება მათი ოპორტიუნისტობა. საჭიროა მათი შეძენაც და გამოცემაო. ამხ. რიაზანოვის მოხსენებაზე ყრილობას გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიდაც ავალებს რუსეთის კომპარტიის ცეკას კომინტერნის აღმასკომთან შეთანხმებით ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული მარქსისა და ენგელსის სრული ნაწერების გამოცემისათვის.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ლენინის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში ამხ. კამენევი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტმა ყოველგვარი საშვალება უნდა გამოიყენოს, რათა მასალები რომლებიც დარჩა ამხ. ლენინს, მოკლე ხნის განმავლობაში გადაიცეს საერთაშორისო პროლეტარიატის განკარგულებაში. ლენინის ინსტიტუტი მხოლოდ ლენინიზმს უნდა ნერგავდეს. ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ყველა ორგანიზაციებს, რათა მათ განკარგულებაში არსებული ყველა წერილები თუ ხელთნაწერები გადაეცეს ლენინის სახელობის ინსტიტუტის განკარგულებაში. ცეკას ეს მიმართვა ჯერ სრულიად არ განხორციელებულა, მაგრამ ინსტიტუტმა უკვე მიიღო მაინც 10.000 ხელთნაწერი, ლენინის თანამშრომლებისა და მეგობრებისაგან.

ამხ. კამენევი აღნიშნავს აგრეთვე რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ყველა იმ მასალების შეგროვებას, რომლებიც ახასიათებენ ლენინს, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს: განკარგულებანი დეპეშები, ბარათები, რეზოლიუციები, ტელეფონოგრამები, რომელთა საშვალებით ლენინი ახხორციელებდა სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობას.

ეს მასალები განსაკუთრებით ძვირებულია საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, რამდენადაც ამ უკანასკნელმა რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილებით უნდა მოახდინოს თავის ქვეყანაში კომუნისტური რევოლიუცია. ყველა შეგროვილი მასალები უნდა გადაეცეს საერთაშორისო პროლეტარიატს ლიტერატურული ფორმით, რათა ისინი გახდენ საერთაშორისო რევოლიუციის ნამდვილ იარაღად.

ლენინის თხზულებათა 23 ტომის გამოცემა პირველია მისი დაუმუშავებელი ლიტერატურულ ნაშრომისა. დაახლოებითი გამოანგარიშებით. ამხ. ლენინის ყველა ნაწერები შეიცავენ 50 ტომს.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

ამხ. კამენევის მოხსენების გამო ყრილობა ადგენს გახსნილად ჩასთვალოს ლენინის ინსტიტუტი და მოუწოდებს რუსეთის კომპარტიის ყველა ორგანიზაციებს და ყველა ქვეყნის თანამოძმე კომპარტიებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ლენინის ინსტიტუტს იმ მასალების გადაცემით, რომლებიც ახასიათებენ ლენინის ცხოვრებას და მოქმედებას. ყრილობა ავალებს პარტიის ცეკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლენინის ნაწერების გამოცემას რუსულ და ყველა ენებზე ს.ს.რ. კავშირში.

**ულენინოთ, მაგრამ ლენინიზმით წინ.**

ყრილობამ მოისმინა მთელ რიგ ფაბრიკა ქარხნების წარმომადგენლთა და აგრეთვე იტალიისა, ესტონეთის, ფინეთის და პოლონეთის კომპარტიების მისალმებანი. მისალმებებში ხაზ გასმით აღნიშნული იყო, რუსეთის კომპარტიისადმი გაუზომელი მადლობა მისი ენერგიული მუშაობისათვის და იმედს გამოსთქვამენ, რომ მომავალში უილიჩოთ, მაგრამ ილიჩის გულიდან ამოუშლელად მიიყვანენ რევოლიუციის გამარჯვებამდე.

**რეზოლიუციები.**

ყრილობის გუშინდელ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუციები სოფლად მუშაობის, საშინაო ვაჭრობის, კოოპერაციის, ცენტრალურ საკანტროლო კომისიის მუშაობის, სააგიტპროპო, ქალთა შორის, ახკომკავშირელთა, პრესის და პარტიულ საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

**პარტ-კონფერენციები ყოველ ნახევარი წლის შემდეგ.**

დადგენილი იქნა საგუბერნიო პარტ-კონფერენციები მოწვეულ იქნეს წელიწადში ორხელ, მაგრამ ადგილობრივ ორგანიზაციებს ნება ეძლევა კონფერენციის ერთხელ მოწვევისა წელიწადში და ცეკას ნებართვით.

**პარტიის სახელის გამოცვლა გადაიდო შემდეგი ყრილობისათვის.**

მე-14-ე ყრილობა პარტიის დადგენილების თანახმად მოწვეული იქნება ლენინგრადში. ცეკას წინადადება მიეცა მოწოდებით მიმართოს მუშებსა და გლეხებს ყრილობის სახელით.

## ᲐᲛᲮ. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ლენინიზმის განმტკიცების ყრილობა. თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ მეცამეტე ყრილობა აღინიშნება პარტიის ისტორიაში, როგორც განსაკუთრებული ერთსულოვნობის და გაერთიანების ყრილობა.

კოოპერაციის, ვაჭრობის, გლეხებში და ახალგაზრდობაში მუშაობის და მთელ რიგ სხვა საკითხებში ჩვენ მოგვიხდა ლენინის მოძღვრების კონკრეტიზაცია ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ მუშაობას სოფლად. ამ საკითხზე მუშაობა კვლავ მოუხდება ახალ ცეკას.

პარტიის ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ შეაკავშიროს ჩამორჩენილი და უღარიბესი გლეხობა მოწინავეებთან და დარაზმონ ისინი სოფლის წურბლებისა და „კულაკების“ წინააღმდეგ.

კოოპერაციისა და ვაჭრობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა რჩება ძალაში.

**ფუჭათ არ ჩაივლის ლენინის მუშაობა ჩვენს შორის.**

ყრილობამ გადაფურცლა ლენინის პარტიის ისტორიაში ერთი საპატიო ფურცელი. ყრილობა აღფრთოვანებული იყო მუშაობის სურვილით ისე, თითქოს მათ შორის კვლავ იმყოფებოდა ვლადიმერ ილიჩი. მთელი ყრილობის მსვლელობაში გრძნობდით უჩვეულო ძმურ გაერთიანებას. ჩვენ ერთხელ კიდევ დაუმტკიცეთ ჩვენს მტრებს, რომ ლენინს ჩვენს შორის ფუჭად არ უმუშავნია. გაუმარჯოს ჩვენს დიდს და დაუძლეველ რუსეთის კომპარტიას.

(მქუხარე ტაში)

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲔᲙᲐᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა ცენტრალურ კომიტეტის 53 წევრი და 34 კანდიდატი. ცენტრალურ საკანტროლო კომისიაში არჩეულია 151 წევრი. ცეკას წევრებად არჩეულ იქნენ: **ანდრეევი, ანტიპოვი, ბუბნოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, დზერჟინსკი, დოგადოვი, ევდოკიმოვი, ზალუცკი, ზელენსკი, ზინოვიევი, კოგანოვიჩი, კალინინი, კამენევი, კვირინგი, კიროვი, კოლოტილოვი, კომაროვი, კასიორი, კრასინი, კრჟიჟანოვსკი, კუიბიშევი, ლეპსე, ლობოვი, მანუილსკი, მედვედოვი (უკრაინა) მიკოიან, მიხაილოვი, მოლოტოვი, ნიკოლაევა, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, პიატაკოვი, რაკოვსკი, რუდზუტაკი, რუმიანცევი ივანე, რუხიმოვიჩი, რიკოვი, სმირნოვი, სოკოლნიკოვი, სტალინი, სულიმოვ, ტომსკი, ტროცკი, უგლანოვი, უხანოვი, ფრუნზე, ხარიტონოვი, ცურიუპა, ჩუბარი, შვარცი.**

## ᲪᲔᲙᲐᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ:

**არტიუხინა, ბადაევი, ჩუდოვი, კოროსტელოვი, მარკოვი, ორახელაშვილი, რუმიანცევი კონსტანტინე, ურივაევი, რახიმბაევი, სირცოვი, შმიდტი ვასილი, ჩაპლინ, სტრიევსკი, მოროზოვი, რინდინი, ვარეიკის, კირკიში, მოსკვინ, გოლოშჩეკინი, ივანოვა, გლებოვი, ავილოვი, კაბაკოვი, სკრიპნიკი, მიასნიკოვი, ვლადიმიროვი, კრინიცკი, საფაროვი, ცეიტლინი, ივანოვი, ნარიმანოვი, სმილგა, გეი, ზორინი, ტოლოკონცევი.**

## ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲐᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

ცენტრალურ საკანტროლო კომისიის წევრებად არჩეული არიან: ამოსოვი, გუნი, გუსევი, ილინი, კატკინი, კასარიოვი, კრუმინი, კუიბიშევი, კაჩმენკო, ლენგნიკი, ლისიცინი, მურანინოვი, ნოვოსელოვი, პანოვი, პასტუხოვი, პეტერსი, პილაევი, როიზენმანი, რადუს-დიზინკევიჩი, სახაროვი, სოლცი, შკირიატოვი, შვერინგ, იანსონი, იაროსლავსკი, ჩუდსკაია, ჩენცოვი, ვასილიევი, კოროსტელოვი, პრავდინი, კისილიოვი, კრივოვი, ბუმაჟნი, ოსმოვი, დიკსნენი, ფილერი, ნოვიკოვი, კოროტკოვი, ზემლიაჩკა, რაზმიროვიჩი, ვასილიევა, მაგიდოვი, საიდ გადიევი, შეპოვალოვი, პოდვოისკი, მიტროფანოვი, სურგუნოვი, ნასოვი, შოტმანი, მიხაილოვი, კრუპსკაია, პიატნიცკი, ვიშნიაკოვი, შონოვ, რავიჩ, პოზერნ, კარავაევი, სტურუა, იაკოვენკო, მაკაროვი, სერგეევი, პუნიჩი, ვნუკოვი, ჩუხალკინი, აბელი, ვასიუტინი, ენუქიძე, სტეცკოი, იაკოვლევა, როზინი, ლარინი, მურუგოვი, ერემეევი, ბარანოვი, ივანოვი, ბაზანოვი. კლინოვი, ზელეგსონი, ნოსოვი, ვოლკოვი, ბუსე, ბუშუევი, ფეხტერი, ჩუგუნოვი, კომისაროვი, დჟიდჟა, კაკოვიხინი, შპაგინი, რასტოპჩინი, სმოროდინი, მანდჟარა, ავდეევი, იბრაგიმოვი, გუიკოვი, ლებედევი, აკულოვი, ზავიცკი, ტერეკოვი, დუდნიკი, ნაზარეტიანი, დოლიძე, ეფენდიევი, მარტიკიანი, გრუზოვი, ზაიცევი, ფომინი, ჩევდაევი, შირიპკინი, ზოტიკოვი, მარინინი, სმირნოვი ზასოლინა, ბაბუშკინი, შჩეტინინი, ტემნიკოვი, ბიაკოვი, ჩოდრიშვილი, პლეშჩაკოვი, ხაბიბულა, ანუშჩენკო, ემელიანოვი, ტალბერგი, მოხოვი, ბირზინი, რეინვალდი, ლიდზინი, კირილოვა, კოტოვი, კოშჩენკო, ლიუბიაში, რადჩენკო, ტალკოვი, ტოლპიგა, მოსკალოვი, გაიკაშკინი, ზაგრებელნი, გუსკო, პიტკევიჩი, რუმიანცევი, პარლიკი, რახმანოვი, პრებიტკოვსკი, კუჭკოვი, კარმუხინი, ზაკოლოტნევი, სოვეტოვი, ხაიტბაი ასმუხამედოვა, სმიდოვიჩი, სტეპანოვი, სერგეევი და მილიუტინი.




## ახალწვეულები მოდიან.

1-ლი ივნისი. კვირა დღე... დილაა. მოკრიალებული ცა ლურჯად კამკამებს და მის უსაზღვროდ გაშლილ სივრცეში უხვად იბნევა ამომავალი დილის მზის სხივები. ქალაქის ატეხილი ხმაური ჩვეულებრივად ძლიერდება, ირღვევა დილის მყუდროება. ამოძრავდა ქუჩები.

აი სადგურის ქუჩაც. რკინის გზის მუშათა სახლებიდან გამოდიან მუშები,—ეს შრომის არწივები.

რამოდენიმე წუთი და რკინის გზის ლიანდაგიც ხმაურობაში გაეხვაა. აი ერთი ჯგუფი მუშებისა წაკატებით და ნიჩბებ თ მხრეზზე. შემდეგ მეორე... მესამე, და უკვე მიძინებული რკ. გზის მიდამო გამოცოცხლდა. წუთი სიჩუმე, და აი ორთქლმავლის კივილიც, რამოდენიმეჯერ განმეორებით და ზანტად მოსრიალე „მაქსიმ-გორკი“-ს „ვაგონები“ სადგურის წინ შეჩერდენ. მემანქანის მძლავრმა ხელმა დაიმორჩილა ისინი.

მატარებელი გაჩერდა. ხალხი ფუსფუსით გადმოდიოდენ ვაგონებიდან.

„აბა სად არიან ახალწვეულები“? გაისმა ჩემს გვერდში მდგომ პოლიტხელის შ.წ—ძის ხმა, რომელსაც ძლიერ მოსწყინდა არმიელების უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ და გატაცებით მოელოდა ახალწვეულების მოსვლას.

რამოდენიმე ნაბიჯი და დავინახეთ ახალწვეულთა მხიარული, მოღიმარი სახეები.

— თქვენ, შორაპნის მაზრიდან ხომ არა ხართ ახალწვეულებო? იყო შეკითხვა.

— დიახ, შორაპნის მაზრიდან ვართ.

— სად მიდიხართ?

— აი, აქ, თბილისში სდგას № ქართული ლეგიონი, იქ მივდივართ სამსახურში.

— კარგი, ამხანაგებო, ჩვენ თქვენ შესახვედრად ვართ მოსული და ერთად მოიყარეთ თავი და მალე ვუსტუმროთ ნაწილს.

ახალწვეულებმა იწყეს ერთად შეჯგუფება. ყველანი ირგვლივ შემოეხვივნენ დამხვდურ ამხანაგებს და დიდი გაფაციცებით და ინტერესით დაიწყეს სხვა და სხვა შეკითხვები ლეგიონის ყოფა-ცხოვრებაზე.

### ყველა გახარებულია ჩვენთან მოსვლით.

— ამხანაგებო, თქვენ ნახავთ ჩვენს წითელ ყაზარმებს, იქ თქვენ დაინახავთ საუცხოვოთ მორთულ ლენინის კუთხეებს, სამკითხველოებს, კლუბს, სკოლებს სხვა და სხვა საფეხურისას და ბევრ სხვა ასეთებს, თქვენ ჩვენთან შეგიძლიათ გარდა სამხედრო ცოდნისა შეიძინოთ ყოველგვარი ცოდნა: პოლიტიკურ, განმანათლებელ და კულტურულ დარგში. იყო პასუხი დამხვდურების.

გამოირკვა რომ ყველა მათგანს ძლიერ უხაროდა ჩვენთან მოსვლა.

— თქვენ, ამხანაგო, ჩვენს ლეგიონში ძალზე ავი ოფიცრები ხომ არაა?

— მაგის დარდი ნუ გექნებათ, ჩვენთან ყველაფერი ამხანაგურია, არ იფიქროთ, რომ რამე იყოს დარჩენილი ძველებური. ისეთი უფროსთა შემადგენლობა, რომლებიც უდიერად ეპყრობა წითელ არმიელებს არ მოიპოვება ჩვენს რიგებში. ჩვენ არ გვყავს „ოფიცრები“—ჩვენ გვყავს წითელი კომანდირები—წითელი ჯარის ღირსეული უფშემადგენლობა.

ამაზედ არხეინათ იყავით! უპასუხა გათამამებულმა პოლიტხელმა, ისედაც გამხიარულებული ახალწვეულების სახე კიდევ უფრო გამხიარულდა.

გაისმის ირგვლივ ახალწვეულების ერთმანეთთან შეძახება და ცოტა ხნის შემდეგ მოიყარა თავი ყველამ.

პოლიტ-ხელი ესალმება ახალწვეულებს, რომელმაც განმარტა ახალწვეულების დანიშნულება ჩვენს ლაშქარში.

ბაასის დამთავრების შემდეგ ახალწვეულები გაიყვნენ ორ ჯგუფად: ერთი გაემგზავრა № ლეგიონისკენ და მეორე—საარტილერიო დივიზიონისკენ.

უნდა აღინიშნოს რომ ახალწვეულებში ერია ბევრი რკინის გზელები და ჭიათურის მაღაროს მუშები, რომელთა შემადგენლობა უსათუოდ ასწევს ჩვენს ლაშქარში პროლეტარულ ელემენტების %.

უსურვოთ ჩვენს ახალწვეულებს გამარჯვება, რომელიც დაავალა მათ საბჭ. მთავრობამ და მშრომელმა ხალხმა.

ს. ბ.

## კულტურული მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას.

ქართულ დივიზიის მსუბუქ საარტილერიო დივიზიონის კულტსაგანმანათლებლო მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას, რაიც მიეწერება ჩვენი სამხკომის ენერგიულ მუშაობას. დემობილიზაციის შემდეგ წითელ-არმიელთა რიცხვი ძალიან ცოტა დარჩა, მაგრამ მუშაობა ოდნავადაც არ შეფერხებულა.

სისტემატიურად სწარმოებს პოლიტსაათი.

საკლუბო მუშაობა გაჩაღებულია: მიდის წარმოდგენები, ლიტერატურული გასამართლება, რომელზედაც გვესწრებიან ადგილობრივი მცხოვრებლები და სხვა და სხვა ქარხნის მუშები. იმართება ხმა-მაღალი კითხვა, მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე, საუბრები და სხვა.

სამკითხველოს საქმე კარგად არის დაყენებული: სისტემატიურად ვღებულობთ ქართულ და რუსულ გაზეთებს.

კედლის გაზეთის საქმე ცოტათი შეფერხდა, ვინაიდან სარედაქციო კოლეგია დემობილიზაციის გამო დაიშალა.

ამ ბოლო დროს არჩეულ იქნა ახალი სარედაქციო კოლეგია და კედლის გაზეთის გამოცემაც განახლდება.

31 მაისს მოწყობილ იქნა წით. მეთაურთა კრება, რომელზედაც სამხკომმა მოუწოდა მათ ენერგიულ მუშაობისაკენ.

გვაქვს კავშირი უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებთან, მოგვდის მათი წერილებიც.

ხ. თ.

## ჩვენს ცენტრალურ კლუბში.

შაბათს, 31 მაისს, ჩვენს წითელ-არმიელთა კლუბში, მბეჭდავთა კავშირის მუშებმა გამართეს საღამოწარმოდგენა—ამავე კავშირის კულტ-შეფობის ქვეშ მყოფ სოფლებში მუშაობის ფონდის გასაძლიერებლად, რომელსაც მუშა-მოსამსახურეთა და მათ ოჯახების გარდა დაესწრენ ჩვენი წითელ-არმიელებიც, რომელნიც უფასოთ იქნენ დაშვებულნი.

კავშირის დრამ-წრემ წარმოადგინა ცნობილი ფრანგული ხუთმოქმედებიანი მელოდრამა ,,ორი ობოლი“.

მოთამაშეთა უმრავლესობა თვით მუშები იყვნენ.

თუმცა იყო ტეხნიკური ნაკლი, დადგმის მხრივ, და ზოგიერთ ამსრულებლების მიერ როლის უცოდინარობა, მაგრამ საერთოდ მაინც კარგად ჩატარდა და დამსწრენი კმაყოფილნი დარჩენ.

საღამოზე უკრავდა თვით მუშებისაგან შემდგარი სიმებიანი ორკესტრი, რომელიც კარგ ნიადაგზე ჰქონიათ დაყენებული, რისთვისაც ღირსნი არიან ქების და პატივისცემის.

საღამო გათავდა შუაღამისას.

ს.

## პარტიული მუშაობა

### ჩვენი დახმარება რევოლიუციის მებრძოლთ!

28 მაისს ქართული დივიზიის უმცროს მეთაურთა სკოლაში შესდგა ადგილობრივი კომუჯრედის სხდომა. დღის წესრიგში სხვა და სხვა საკითხებთან ერთად დასმული იყო „რევოლიუციის მებრძოლთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოები“-ს კომპანიის ჩატარება. ამ საკითხის ირგვლივ მოხსენებით გამოდის სამხკომი ამხ. დონაძე. დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას აღნიშნულ საზოგადოების მნიშვნელობა და აგრეთვე აღნიშნა თუ რამდენი ჩვენი ამხანაგები იტანჯებიან ბურჟუაზიული ქვეყნების საპყრობილეებში.

### ჩვენი გულწრფელი სალამი მათ

კრებამ მოისმინა რა ამხ. დონაძის მოხსენება, ერთხმად დაადგინა: თანაგრძნობა გამოუცხადოს ბურჟუაზიულ ქვეყნებში დატუსაღებულ რევოლიუციონერებს და გაიღონ მათი დახმარების მიზნით ერთგვარი წვლილი შესაძლებლობის ფარგლებში.

### კედლის გაზეთი ახალწვეულთა განვითარების დონეს უნდა შეუფარდდეს.

მიმდინარე საკითხებში დასმული იყო აგრეთვე საკითხი კედლის გაზეთის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს კედლის გაზეთის მნიშვნელობას და მის გადახალისების აუცილებლობას ახალ წვეულების მოსვლასთან ერთად. კრებამ მოიწონა ამხ. მოხსენება და იქვე იქნა არჩეული სარედაქციო კოლეგია ახალი შემადგენლობით. გამოეცვალა თვით კედლის გაზეთს სახელი და ფორმატიც შეცვლილი იქნა. ახალ სარედაქციო კოლეგიას დაევალა გაზეთის შინაარსი შეუფარდოს ახალწვეულთა განვითარების დონეს, რომ ამავე დროს მათაც მიეცეთ საშვალება თავის ორგანოში თანამშრომლობისა.

დ. ჭანკვეტაძე.

## კომუჯრედები მუშაობენ.

ქართულ დივიზიის არტილერიაში თავიდანვე არსებობს პატარა ერთეულების მიხედვით სულ ხუთი კომუჯრედი. საგაუბიცო ბატარეიაში, მსუბუქ საარტილერიო დივიზიონში სამი (თითო ბატარეიაში) და მეხუთე—საარტ-პარკში. ამათ აერთიანებს ქართულ დივიზიის საარტილერიო ნაწილების ბიურო-კოლექტივი.

კომუჯრედებში მუშაობა კარგათ არის დაყენებული.

კრებები იმართება სისტემატიურათ, ირჩევა სხვა და სხვა ხასიათის საკითხები.

ამ ბოლო დროს კომუჯრედების მდივნები უფრო აქტივობას იჩენენ. ბიურო-კოლექტივის მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ დემობილიზაციამ 1900 წელში დაბადებული პარტიული ამხანაგები მოგვაკლო, მუშაობა მაინც თავის სიმაღლეზე სდგას.

დიდი ენერგია გამოიჩინა ბიურო-კოლექტივის მდივანმა, ამხ. როსნაძემ. მისი მეოხებით ხშირად იმართება საერთო პარტიული კრებები, ირჩევა სხვადასხვა საკითხები, დროზე გროვდება პარტ-გადასახადი, არ არის ისეთი პარტიული ამხანაგი, რომელსაც არ ჰქონდეს მიჩენილი სამუშაო.

დისციპლინა ფოლადისებურია, კრებებზე ესწრებიან სისტემატიურათ.

ამ ახლო მომავალში მოხდება ახლათ გადარჩევა ბიურო-კოლექტივის წევრებისა.

ს. თ.

## რაზედ გვწერენ

### პური კარგათ უნდა იქნეს გამომცხვარი.

პურის კარგათ გამოშუშებას და საერთოდ კვების კარგათ დაყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს მით უმეტეს საჭიროა ჯარის რიგებში.

აქამდე ჩვენს ნაწილებს ურიგდებოდა კარგად გამომცხვარი, გამოშუშებული პური, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში პურის ხარისხი ამ მხრივ ერთობ გაუარესდა.

პური ცომი და გამოუშუშებელი გვირიგდება. ასე ხდება მესანგრე ასეულში და ალბად ასე იქნება სხვა ყველა ნაწილებშიაც. ზაფხული და ძლიერი სიცხეები უკვე დაიწყო. ეხლა მეტად ცუდ გავლენას ახდენს ადამიანზე არა სათანადო ჰიგიენური პირობები. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ჯარში, სადაც მრავალ ხალხს უხდება ერთად ცხოვრება გამოუცხობელი პურით კვებამ შესაძლებელია ათასგვარ სახადების წინაშე დაგვაყენოს.

იმედია, ვისგანაც ჯერ არს სათანადო ყურადღება მიექცევა ამ მოვლენას. პური კარგად გამოშუშებული უნდა ურიგდებოდეს ნაწილებს.

წით. ლ. შ. ლომიძე.

## წითელ-არმიელისთვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

(ციმბირის წყლული.)
(Сибирская язва).

წინა წერილებში შენ, წითელ-არმიელო, გაეცანი სასტიკ და მოურჩენელ სენს „საპ-ს“. ამ წერილში უნდა გაეცნო, უნდა შეისწავლო ცხოველების მეორე სატკივარი—,,ციმბირის წყლული“ (დასავლეთ საქართველოში ამ სენს ეძახიან ,,მუზარას ან საქონლის ჭირს“), რომელიც ისეთსავე საშიშროებას წარმოადგენს ცხოველებისათვის და ადამიანისათვისაც, როგორც ,,საპი“.

სავეტერინარო მეცნიერებას ,,ციმბირის წყლული“ კაცობრიობისათვის მეტ გამანადგურებელ სენად აქვს მიჩნეული, ვიდრე ,,საპი“, რადგანაც პირველი, სადაც გაჩნდება, არ კმაყოფილდება ერთი, ან ორი მსხვერპლით, არამედ ელვის სისწრაფით ედება და უსპობს სიცოცხლეს საქონლის მთელ ნახირს და ხალხთა მრავალ რიცხვს.

### სატკივრის—ისტორიული მასალა.

აღნიშნული თვისების ,,ციმბირის წყლული“ წარმოადგენს ,,პოვალიურ“ (საყოველთაო, ცხოველების მრავალ რიცხვის დამღუპველს) ხასიათის სატკივარს. იგი ცნობილი იყო ქრისტეს დაბადებამდისაც. ებრაელთა წინამძღოლი მოსე თავის მეორე წიგნში (თავი 6, სტ. 9) იხსენიებს ამ სატკივარს შემდეგი სახელით: ,,ეგვიპტელებთა მეექვსე გამანადგურებელი წყლული (язва)“; მესამე წიგნში კი უკვე აფრთხილებს თავის ხალხს ამ სატკივრისაგან, რადგანაც იგი,—ამბობს მოსე, ადვილად გადადის ადამიანის ტანისამოსის საშუალებით მეორე ადამიანზე“-ო.

საბერძნეთის სწავლული, გომერი, თავის ილიადის პირველ წიგნში აღწერს:

ხალხის, ჯორცხენების და ძაღლების გაჟლეტას „ციმბირის წყლულისაგან“; რომაელი ისტორიკოსი პლუტარხი აგვიწერს რა „ციმბირის წყლულის„ ხასიათს, დასძენს: „მთელი რომი (იტალიაშია) 740 წელში ქრისტეს დაბადებამდე გახვეული იყო აღნიშნული სატკივრის ცეცხლში. დიონისი გალიკარნელი 488 წელს და ლივი 425 წელში ქრისტეს დაბადებამდე იძლევიან მაგალითებს ,,ციმბირის წყლულის‘‘ გავრცელებისას, რომელმაც იმსხვერპლა ჯერ მინდვრად მძოვარი საქონელი, მერე ბოსლებში დაბმული, შემდეგ ის ცხოველები, რომელნიც განზხადებული იყვნენ ღვთისადმი ცალკე სამსხვერპლოდ, ამათგან კი ეს სატკივარი მოედო თვით მსხვერპლის მიმღებ დეკანოზებს, შემდეგ მენახირეებს, თვითეულ სოფლის მცხოვრებლებს და ბოლოს მთელ მცხოვრებლებს.

ვირგილი აღწერს ცხვრების ერთერთ შესაყრელ ხასიათის სატკივარს და ამბობს: ,,ამ სატკივრით დახოცილ ცხვრების ტყავიდან ვინც იკერავდა ტანსაცმელს, მას ტანი ემოსებოდა მოურჩენელი ძიძიბოებით, რომელნიც ბურაოსავით ხვრეტდნენ ადამიანის ტყავს და კუნთებამდინ ჩადიოდნენ, შემდეგ კი სიცოცხლეს ასალმებდნენ.‘‘ არაბის ექიმები აგვიწერენ ,,ციმბირის წყლულს‘‘ შემდეგი სახელით: ,,სპარსული ცეცხლი‘‘ (სპარსეთში ძალიან იყო მოდებული ეს სატკივარი და დიდს ზარალს აყენებდა ხალხსაც და საქონელსაც).

1617 წელში ათანაზ კირხნერი ასწერს ხარების სატკივარს, რომელიც გადადის ადამიანზე და რომლისაგანაც მომკვდარა 60.000 კაცი.

აღნიშნული სატკივარი ფართოთ იყო გავრცელებული საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, პოლონეთში და სხვაგან. რუსეთში გადმოვიდა 1759 წელს; მიღებული ზომებით, არა წამლობით, არამედ თავდაცვის ხასიათისა, შიდა რუსეთში ზოგიერთა ალაგას მთლად მოისპო, ზოგგან კი დღესაც ჩნდება; მაგრამ ,,ციმბირის წყლული-ს‘‘ სამშობლოდ დღეს ითვლება ციმბირი, საიდანაც იგი გადადის სხვა და სხვა სახელმწიფოებში; ჩვენში ეს ჭირი შემოტანილია რუსეთიდან და ზოგს ალაგას ძალიან არის გავრცელებული, ნამეტურად დასავლეთ საქართველოში, სადაც მას განსაკუთრებულ სახელსაც უწოდებენ, მაგალითად, „ხუზარას“‘ როგორც ზევით აღვნიშნეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სახელი დარქმეულია იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს მწერი (ხაბუზანკალი) ავრცელებს ამ ჭირს.

ციმბირის წყლულის ასეთი გამანად გურებელი ხასიათი, რასაკვირველია, იწვევდა მეცნიერთა შორის დიდ ინტერესს, რომ აღმოეჩინათ მისი გამომწვევი მიზეზები და მასთან გამოენახად საშუალებები, რომლითაც შეიძლებოდა ამ სენის მოსპობა დედამიწის ზურგზე. წარსულ საუკუნის ნახევარში ამ გზით მუშაობამ მიიყვანა მეცნიერი დევაინე აქამდის, რომ მან 1850 წელს აღმოაჩინა ამ სენით დაავადმყოფებულ რქოსან საქონლის სისხლში აუარებელი რიცხვი წვრილი ნეკრის მზგავსი ცხოველები, რომლებსაც დაარქვა ,,ბაქტერიები‘‘; 1855 წელში იგივე ბაქტერიები იპოვა საქონლის სისხლში მეცნიერმა პოლინდერმა; 1857 წელში ქ. დორპტში მეცნიერმა ბრაულმა ,,ციმბირის წყლულით‘‘ დაავადმყოფებულ რქოსან საქონლის, სიცოცხლითვე გამოღებულ, სისხლში იპოვა იგივე ნეკრის მზგავსი ცხოველები და ამ საშუალებას შემდეგ ხმარობდა ,,ციმბირის წყლულის‘‘ დიაგნოზის (გამოცნობა) დასასმელად.

აღმოჩენილ ცხოველების ,,ბაქტერიებად‘‘ დარქმევის წინააღმდეგ გაილაშქრა მეცნიერმა კონმა, რომელმაც ამ ცხოველით უჩინარ ცხოველებს დაარქვა ,,ბაცილები‘‘ და პირველმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ ეს ,,ბაცილები‘‘ ცხოველების სხეულიდან გარედ გამოსვლის დროს იმოსებიან ისეთი ქურქით, რომ მათ ვერც სიცივე, ვერც სიცხე ვერაფერს აკლებს და მით თავიანთ სიცოცხლეს იგრძელებენ; ამ ქურქს მან უწოდა სახელად ,,სპორები‘‘. კონის აზრი შემდეგ უფრო თვალნათლად დაამტკიცა მსოფლიოდ გამოჩენილმა ბაქტერიოლოგმა კოხმა და აქედან ,,ციმბირის წყლულის‘‘ გამომწვევი მიზეზები და მისი გადამდები ხასიათი უდაო და უტყუარ საკითხად გადაიქცა.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

# ახალი ამბები.

— **საბიბლიოთეკო სამუშაოს გამოფენა.** უახლოეს ხანში წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიხსნება ქართული დივიზიის საბიბლიოთეკო სამუშაოს გამოფენა.

— **გვირაბის განათება.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა გაიყვანოს სინათლე ბოტანიკური ბაღის გვირაბში.

— **სამუშაო ნორმა სოფლის მეურნეობაში.** სასოფლო-სამეურნეო შრ. ინსპექციას დაევალა გამოიმუშაოს ნორმა სოფლის მეურნეობაში მუშაობისა და წარადგინოს იგი შრ. კომისარიატში.

— **ქალ. ლომბარდის გახსნა.** ახლათ გახსნილ ქალ. ლომბარდის ძირითად თანხათ ქალ. აღმასკომმა გადარიცხა 50 000 მანეთი.

— **ტფილისი—ანგორა.** ტფილისანგორას შორის მოეწყო სატელეგრაფო კავშირი. ყოველგვარი კორესპონდენცია და მიწერ-მოწერა შეიძლება გაიგზავნოს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფიდან.

— **საქართ. გლეხკომების თათბირი. 6 ივნისს ტფილისში მოწვეულ იქნება სრულიად საქართველოს გლეხთა კომიტეტების თათბირი.**

— **ფართალი გლეხობას.** უზრუნველ ყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საფეიქრო სინდიკატის წინაშე, რათა მან მისცეს სესხათ გორის სამაზრო გლეხკომს, კომისარიატის თავდებობით 10,000 მანეთის ფართალი გლეხობაში დასარიგებლათ.

— **პურის მიწოდება.** ცეკავშირმა გადასწყვიტა მიაწოდოს ქუთაისის, ტყიბულის, ჭიათურის და სამტრედიის მოსახლეობას იაფი პური. ამის გამო შეძენილ იქნა 15 ათასი ფუთი ფქვილი.

**გვალვა აზერბეიჯანში.** ნუხის მაზრაში დიდი გვალვებია. ნათესი გაფუჭებულია 60 პროცენტით. უკანასკნელ ხანებში მოვიდა დიდი სეტყვა, რამაც სავსებით გაანადგურა მოსავალი.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 31 მაისს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 96 უმუშევარი.

## ხელოვნება.

— **წითელ არმიელთა კლუბში.** 5 ივნისიდან კლუბის შენობაში დაიწყებს სისტემატიურ მუშაობას მუსულმანთა საოპერეტო დასი.

— **ხალხური მუსიკის საღამო.** დღეს, ოპერის თეატრში გაიმართება ხალხური მუსიკის დიდი საღამო. მოწვეული არიან მომღერლები საქართველოს ყველა კუთხეებიდან.

— **ფიზკულტურის საღამო.** 8 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ინიციატივით ფიზკულტურის დიდი საღამო.

— **„ხელოვნების დროშა“.** გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ორგანო „ხელოვნების დროშა“. ჟურნალი შინაარსიანია და ღირს 40 კაპ.

# სასოფლო მეურნეობა.

### სარეველა მცენარეებთან ბრძოლა.

სარეველა მცენარეებს მრავალი თავის დასაფარავი საშუალება აქვთ და ამიტომ მათთან ბრძოლაც მიზანშეწონილი და წინ-დახედული უნდა იყოს: როგორი ზომებიც არ უნდა ვიხმაროთ სარეველა მცენარეთა მინდორში ან ბაღში სრულიათ მოსპობა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მათი მავნებლობა ისე შევამციროთ, რომ მოსავალს არაფერიავნოს.

სარეველა მცენარეებთან ბრძოლაში უმთავრესი მნიშვნელობა წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს აქვს.

საერთოთ ყველაფერი ის რაც ხელს უწყობს დათესილ სასარგებლო მცენარეთა განვითარებას, ასუსტებს სარეველა მცენარეების მოქმედებას. სასარგებლო მცენარეთა განვითარებისათვის საჭიროა რომ ნიადაგი კარგათ და თავის დროზე გავაპოხიეროთ, დავთესოთ ჯანსაღი თესლი ისეთ დროს, როცა ბუნებრივი პირობები მათ განვითარებას ხელს შეუწყობენ და მივიღებთ ჩქარა მოზარდ მცენარეებს, როცა მოსალოდნელია რომ ბევრი სარეველა მცენარე იქნება, მაშინ ნათესი სქლათ უნდა დავტოვოთ. სქელ ნათესში სარეველა მცენარეებს მზეზე ამოსვლა უჭირთ და იხუთებიან. გარდა ამ საერთო ზომებისა საჭიროა ვიცოდეთ ცალკე სარეველებთან ბრძოლაც. აქ უნდა აღვნიშნო, რომ საშუალება, რომელიც ერთ სარეველა მცენარეს სპობს ხშირათ მეორეს რგებს, ამიტომ უნდა ვიცოდეთ უმთავრეს სარეველა მცენარეთა ჯიშები, რომლებიც არიან ჩვენ ბოსტანში, ბაღში თუ მინდორში, მაგრამ მარტო ამის განსაზღვრა არ კმარა. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ბუნებრივ პირობების შეცვლა, მაგ. ნესტიანი წელი ან გვალვიანი ამინდები, ზოგიერთ სარეველა მცენარეების განვითარებას ხელს უწყობს, ზოგიერთებისას კი ხელს უშლის. ამიტომ ერთ წელში ერთნაირი სარეველა მცენარეები უფრო ვარგობს მეორეში კი სხვანაირი.

ამას გარდა ცნობილია, რომ ყოველ სასარგებლო მცენარეს ყავს თავისი მავნე სარეველა მცენარე. მაგ. პურის ყანას ავნებს ჭიოტა და ხვართქლა; კანაფის ნათესს ქამელისა; ბოსტნებს მელის კუდა, სამყურა და სხ. ყველაფერი ეს მეურნემ მხედველობაში უნდა იქონიოს და სარეველა მცენარეთა საწინააღმდეგო ზომებიც შესაფერისი უნდა გამონახოს.

**მეურნე.**

# სამხედრო საქმე

### აირისაგან დამფარი ტანსაცმელი.

მომწამლავ ნივთიერებით კანის დაწვისაგან დაფარვა მთელ შეიარაღებულ ძალებისა ტეხნიკური მოსაზრებით ამ ჟამად შეუძლებელია; მხოლოდ ზოგიერთ მებრძოლთა ჯგუფებისა ამ საშუალებით უზრუნველყოფა აუცილებელია. მაგალითად, როდესაც რაიმე უბანი ხანგრძლივათ მოქცეულია ხარდალის აირის სროლის ქვეშ, უბნის დამცველთა გაყვანა ამ ადგილიდან დაუშვებელია, თუ ამ პირობებში მებრძოლთა უმეტესი ნაწილი სავანეში იქნება მოთავსებული, მაინც კიდევ მოთვალთვალენი და მზვერავნი იქნებიან ხარდალის აირის მოქმედების ქვეში. აგრეთვე ის ხალხი, რომელიც სროლის შეწყვეტის შემდეგ ხარდალის აირისაგან სწმენდავენ პოზიციებს, ისინი ვერ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუ განსაკუთრებული საშუალება არ ექნებათ აირისაგან თავდაცვისათვის.

უცხოეთის არმიაში მომწავლავ ნივთიერებით კანის დაწვისაგან დაცვის საშუალებათ იყო: წასასმები და პასტები. (მცენარეთა სქელი წვენია, რომელიც იწვება) ტანსაცმელი და ხელთათმანები. ამ განსაკუთრებული წასასმებით და პასტებით უნდა მთელი ტანი წინასწარ დაიზილოს და ამ გვარად ან სულ მთლად შეიძლება მომწამლავ ნივთიერებათა და წვისაგან უზრუნველყოფა, ან და კანის დაზიანების მნიშვნელოვანი შესუსტება. ამერიკელები დიდის წარმატებით ხმარობდენ თუთიის ჟანგის, სელის ზეთისა, ლანოლინისა (მატყლის ჩანაჩრეცხის ჭუჭყისაგან ღებულობენ; იგი ყვითელი ფერისაა, როგორც თაფლი და გემო და სუნი არა აქვს) და ღორის ქონისაგან დამზადებულ წასასმს. ეს წასასმი ადვილად იტყაპნება, კანს გარგად ეკვრება და ტანსაცმელზედ არ გადახდის; ამავე დროს იი წებოიანი არაა.

საფრთხილო პასტა სტეარინის თუთიისა და მცენარეთა ზეთისაგან მზადდება და უფრო უკეთეს შედეგებს იძლევა.

საველე სამსახურისათვის თავდაცვის ტანისამოსი წარმოადგენს ორ შრე მატერიას: შიგნითა მშრალი ქსოვილის სარჩულს და განსაკუთრებულ ნივთიერებით გაჟღენთილ გარეგან ქსოვილს, რომელიც არ უშვებს შიგნით ხარდალის აირს.

დამფარი ტანისამოსი ზოგჯერ მთელ ტანსა ჰფარავს, ევლება კისერს ნიღაბის ქვეშ და თავდება ხელაბზედ იმავე მატერიის ხელთათმანით. თუ მატერია სრულიად არ უშვებს ჰაერს, მას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის დაავადება, ვინაიდან კანის სუნთქვის ჩვეულებრივი პირობები დარღვეულია. ამიტომ უპირატესობა აქვს მინიჭებული ნახევრად საფრთხილო ტანსაცმელს და ხელთათმანებს.

**გ. ბ—შვილი.**

**დავკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტისაგან გაცემული პირადობის მოწმობა ნიკოლოზ ვას. მილორავას სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

## ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

## ,,კრასნაია ზვეზდა‘‘-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: **მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი ვ. ი. **ლენინის** ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.